572
1976

ეროვნული ბიბლიოთეკა

1976 იანვარი N1

დილა

კალენდარი

ალექსანდრე ტაბატაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

იანვარი მოვიდა
ნაძვისსით და თოვლითა.
„თებერვალი დადგა,
ხეში წვალი ჩადგა“.
ის რომ აფრენს ბერავდა,
მარტი კაბას კერავდა.
ვიშ, დამდგარა აპრილი,
ცას არ უჩანს ნაპირი.
მაისია, მაისი,
სიმღერები გაისმის.
— მას რა მოჰყვა, ვინ იცის?
— ივნისი და ივლისი!
მერე დადგა აგვისტო,
სუფრა ხილით გაგვივსო.
დადგა სექტემბერიო,
სკოლისაკენ ჰერიო.
ოქტომბერი მობრძანდა,
ოქროსფერი მომმლავრდა.
ნოემბერიც მოსულა,
დროშების ტყე მოცურავს.
დეკემბერიც გავიდა
და დაიწყო თავიდან:
იანვარი მოვიდა
ნაძვისსით და თოვლითა.

ნახატი **თემურ ჩირინაშვილისა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

პატარა მატარებელი

მერი გოლქვაძე

ნახატები თამაზ ხუციშვილისა

— უუ-უუუ!

— უ-უუ!

— საღ მიდიხარ, პატარა მატარებელო?

— საით მიიჩქარი?

— უ-უუ! აი, იმ მაღალ მთაზე ავდივარ, მთა-ზე!

— რატომ? იმ სიმაღლეზე რა გინდა?

— როგორ თუ რა მინდა, ვერ ხედავ, პატარები მიმყავს.

— პატარებს რა უნდა იმ კორტოხზე, რა დაკარგეს, რას ეძებენ?

— რას ეძებენ და... სუფთა ჰაერს.

— სუფთა ჰაერი რად უნდათ?

— რომ გამაგრდნენ კაჟივით, ლოყები ბურთებივით დაუმრგვალდეთ, ბროწეულივით დაუწითლდეთ.

— მერე არ იღლები ამ სიმაღლეზე ასვლით?

— დაიცა, რა დროს დაღლაა?! ბუ-ბუ-ბუ...

პატარა მატარებელი მიდის, მისრიალებს ზევით, ზევით. მაღალი მთები დამალობანას ეთამაშებიან, ხან ერთი გადმოუხტება წინ, ხან— მეორე, მთებსაც ხომ უნდათ თამაში?!

— უ-უუ, არ მცალია!—ბუბუნებს პატარა მატარებელი.

— შენ სულ არ გცალია,—იბუტებიან მთები.

პატარა მატარებელი მთას გარშემო ურბენს, მიპუსკუნებს, თან ცდილობს—ხევში არ გადაიხედოს, მაგრამ გადაეხედება ხოლმე და...

— უ-იიი!—შეშინებული წამოიყვირებს.

— უ-იიი!—აჰყვებიან ბოხი ხმით მთები,—

მშიშარა!

— ნუ გეშინია, არ გადავარდები!—ამშვიდებენ ნაძვის ხეები;—პირველად ხომ არა ხარ ამ გზაზე?!

— უჰ-უჰ, უჰ-უჰ!—გული უფათქუნებს პატარა მატარებელს, ასე კი ამბობს:—მე კი არა, ბავშვებს ეშინიათო!

— ბავშვებს არა?!.—სიცივისაგან ირხევიან თოვლით დახუნძული ნაძვის ხეები. გზა კი თანდათან იცევა... ადის და ადის ზევით მატარებელი... აი, სულ ზევით! აი, სოფელიც, კოხტა, ყაღიოხიანი სახლებით, თოვლით, სუფთა, კრიალა ჰაერით, მზით, ციგებით, თხილამურებით სავსე.

— მოვედით!—ყვირიან ბავშვები.

— მო-ვე-ლიიიით!—იძახის პატარა მატარებელიც,—ხომ მოგიყვანეთ, აჰა, ბატონო, გადაბრძანდით და ახლა თქვენ იცით მე თქვენმა მთამ! მე ისევ უკან მივრბივარ!

— ცოტა მოგეცადა, ცოტა დაგესვენა!—ეპატიჟებიან ბავშვები.

— რა დროს დასვენებაა!—ბორბლებს აბრაგუნებს მატარებელი,—სხვებიც მელოდებიან, სხვებსაც ხომ უნდათ ამოსვლა?

— უნდათ, უნდათ!

— ჰოდა, წავედი! აქედან დალმართია, ხელად ჩავსრიალდები ჩემი თხილამურებით.

პატარა მატარებელი კუდს მოიქნევს და... ჰერიიი... საღლაა!

რა ცქვიტია, რა ყოჩაღია, რა საყვარელია ჩვენი დაუღლელი პატარა მატარებელი.

საახალწლო სიმღერა

თამარ კალატოზი

თოვლი მოდის ციდან თუ
ყვავილების მტვერია;
ნაძვთან ძმურად ცეკვავენ
კურდღელი და მელია.
მალაყებს რომ გადადის,
ეს მსუნაგი ბელია,
გოზინაყის ლოდინში
გული გადაელია.
ფრთხიალებენ ჩიტები
და თან ასე მღერიან:
— გვიხარია ძალიან,
დღეს ახალი წელია!

ზამთარი

ნოდარ შამანაძე

— გაიხედე, თამუნია,
მგონი ვილაც აკაკუნებს.
— ზამთარია, პაპაჩემო,
ყინვის ფეხებს აბაკუნებს,
ჭირხლის მათრახს ატკაცუნებს
და ლოლუებს აწკარუნებს.
— აბაკუნოს, ატკაცუნოს,
აწკარუნოს, იხმიანოს,
აქ შემოსვლას ვერ გაბედავს,
ოღონდ ცეცხლმა იბრიალოს.

ნახატები ზაურ დეისაძისა

ეროვნული ბიბლიოთეკა

პირველი თოვლი

თეიმურაზ აგულაძე

უხარია ზაზას თოვა,
უხარია რომელია!—
უხარია კიარა და
ხელით ზეცის მწვდომელია.

მოდის ფიფქი ფრენა-ფრენით,
ფენა-ფენად ფარავს მინდორს.
ზაზაც ისე ხტის და მღერის,
არ ენახოს თოვლი თითქოს.

დილა

გიორგი გიგაური

თოვლის ფართო ფანტელები
ეფინება ეზოს,
გუნდაობენ, ხითხითებენ
ლევანი და ბესო.

იქვე გიას მოუწყვია
თოჯინების კუთხე,
თოვლის ლამაზ სახლს უშენებს
სათამაშო კურდღელს!

— აი, ჩემი დათუნიაც,—
ეუბნება ნანა,
— ვუმღეროთ და დავაძინოთ,
ნანა, ვარდო, ნანა...—

ფარფატობენ ფანტელები,
არემარე ბრწყინავს,
გვახარებს და გვახალისებს
ზამთრის თეთრი დიღა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბულაღილი ბიჭი

ქეთევან ხაჩიაშვილი

ნახატები ედუარდ ამგოკაძისა

ცელქი ბიჭია ივერი, ძალზე ცელქი და გამხდარი. მთელი დღე ხტუნავს, თამაშობს, ხელსა და ფეხს არ აჩერებს.

საბავშვო ბაღიდან მის წასაყვანად ზოგჯერ ბებია მოდის ხოლმე. დაინახავს თუ არა ივერი ბებიას, ყველაფერი ავიწყდება და თავ-პირის მტვრევით გაექანება მისკენ.

ახლაც დაინახა თუ არა ბებია, მაშინვე მისკენ გაქანდა, მასწავლებელმა შეასწრო თვალი და შეახსენა:

— ივერი, მოიცა, ჯერ პალტო უნდა ჩაიცვა!

— დამავიწყდა, მასწავლებელო!—ბიჭმა პალტო ჩაიცვა და ბებიასკენ გაიწია, მაგრამ მასწავლებელმა ისევ შეაჩერა.

— ივერი, მწკრივში დაიკავე შენი ადგილი!

ივერი მოიღუშა, მწკრივში ჩადგა და ბებოს ქვეშ-ქვეშ გახედა.

პატარები აციმციმებული თვალებით შეჰყურებდნენ მასწავლებელს და ელოდნენ, რას იტყოდა. მასწავლებელმა ღიმილით ჩაათვალიერა მწკრივი და თქვა:

— ბავშვებო, ვინც დედას შრომა-საქმიანობაში ეხმარება, ხელი ასწიოს.

ივერის გარდა — ყველამ ასწია ხელი.

— ივერი, შენ არ ეხმარები დედას?

— ვერ ვეხმარები, მასწავლებელო, მეუბნება პატარა ხარო, მე პატარა არა ვარ!

ნასიამოვნებმა ბებიამ მასწავლებელს გადახედა, მასწავლებელმა ივერის უთხრა:

— როცა დედა გეტყვის პატარა ხარო და შენი მოხმარება არ მინდაო, შენ უპასუხე: მე მაინც მოგეხმარები-თქო, ეტყვი?

— ვეტყვი და მივეხმარები!—თქვა ივერიმ და ჯერ მასწავლებელს გაულიმა, მერე ბებოს.

ნაკრძალში

ეროვნული ბიბლიოთეკა

გრიგოლ ჩიტაიშვილი

პიესა—ზღაპარი 3 სურათად

მონაწილენი:

ლილი, მამა, ზურიკო, ორი მონადირე, ფოცხვერი, მგელი, დათვი, ციყვი, მაჩვი, ბელი, ნუკრი.

მოქმედება წარმოებს ნაკრძალში

პირველი სურათი

სახლი ტყის პირას. ეზოში არიან: ციყვი, ბელი, მაჩვი და ფოცხვერის კნუტი. ხის ტოტებზე სხედან ჩიტები. სახლის კარის გაღებისას ყველანი ფრთხებიან. შემოდის ლილი. კალთა საჭმელებით აქვს სავსე.

ლილი—რისთვის გაიქეცით? მე ხომ თქვენი მეგობარი ვარ? ციყვო, დაგავიწყდა მსუნაგ კვერნისაგან რომ გიცავ?

ციყვი—მახსოვს და მადლიერიც ვარ შენი, მაგრამ, რა იქნება, ასე შორიდან რომ გიცქირო?

ლილი—ო, როგორ მინდა, გულში ჩაგიხუტო!.. (კნუტს) შენც, ლამაზო ხატულავ! მოდი, ჩამიხტი კალთაში! ვერც შენ ბედავ?., კარგი!.. (მაჩვთან მიდის) აი, ყველაზე უწყინარი, აბა, ნახეთ თუ გამირბის?!. მაჩვუნი, მე შენთვის ლოკოკინები მოვაგროვე, გიყვარს, ხომ? (აწვდის).

მაჩვი—ბრუნ... ბრუნ... ბრუნ... (ჩქარ-ჩქარა სანსლავს).

ლილი—შენთვის კი, ბელიკო, თაფლწასმული პური მაქვს, მოდი, ნუ გრცხვენია!.. უჰ, კინაღამ ხელიც წამაჭამე... (დანარჩენებიც უახლოვდებიან) ციყვო, შენ თხილი მიირთვი... ლამაზო ჩიტებო, თქვენ კი—ჩემი ნახელავი ტკბილი ნამცხვრების ნაფხვენები. (კნუტს) თვალებბრიალავ, არც შენ დამვიწყებიხარ, ახლავე რძეს მოგიტანთ... (შედის. ეზოში გამოჩნდება ნუკრი. ლილი კნუტს რძით სავსე მათლაფას დაუდგამს) ამას ვის ვხედავ! ნუკრი, შენც მესტუმრე? მაპატიე, არ გელოდი, ამიტომ ნუგბარი საჭმელი არ მომიმზადებია.

ნუკრი—ნუ წუხდები, გოგონავ, ამ ეზოში ნოყიერ ბალახს ვხედავ...

ლილი—მიირთვი, გენაცვალე, სხვა დროს შენც ხელსავსე დაგიხვდები (უცებ ყველანი აფორიაქდებიან) რა მოხდა? რამ შეგაშინათ?..

ყველა—(ერთხმად) მოდის!.. მოდის!.. ჩქარა გავეცალოთ აქაურობას!..

ლილი—მიმატოვეს... გული დამწყვიტეს... (შემოდის მამა და თოფმომარჯვებული ზურიკო) მამა, მამიკო!..

მამა—გეყოფა, შვილო, ახლა ზურიკოსაც მიხედე, გააცანი აქაურობა!

ზურიკო—ლილი, ყველაზე უწინ გალიები მაჩვენე.

ლილი—გალიები?! რა გალიები?

ზურიკო—რაშიაც მხეცები გყავს დამწყვდეული.

ლილი—მე ისინი გალიაში მყვანან დამწყვდეულნი? რას ამბობ!

ზურიკო—ძია ვანომ მითხრა: „ლილის მხეცებთან ისეთი მეგობრობა აქვს, უერთმანეთოდ ერთ წუთსაც ვერ სძლებენო“.

ლილი—უი, რა ბრიყვი ხარ!

მამა—ლილი, სტუმარს ასე უნდა შეხვდე?

ლილი—აბა, რატომ არ იცის, რომ მეგობრებს გალიაში არ ამწყვდევენ?

მამა—არ იცის და ასწავლე, ახლა კი გვშია, გვაჭამე რამე...

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეორე სურათი

იგივე სახლი და ეზო. სხვადასხვა მხრიდან შემოდიან ლილის მეგობრები, მაგრამ სახლთან მიახლოებას ვერ ბედავენ.

ლილი—(შემოდის) მოდით მეგობრებო, ნუ გეშინიათ! ზურიკო ძილისგუდა ყოფილა. ალბათ შუადღემდე იძინებს.

ზურიკო—(ფანჯარაში გამოჩნდება) ახლავე გაჩვენებთ, როგორი ძილისგუდაც ვარ... (მოეფარება. ლილი მეგობრებს წინანდებურად უძასპინძლდება. ისმის თოფის ხმა. ყველანი ფრთხებიან. შემოდის ზურიკო). ჰა-ჰა-ჰა! რა სასაცილოდ აბზიკეს კუდები და გაიქცნენ!.. (ლილი თოფს ხელიდან გამოგლეჯავს. მოიქნევს.)

ვაიმე, სად გადამიგდე?!.

ლილი—გუბეში... კიდევ დამიფრთხობ მეგობრებს?

ზურიკო—(შინ შედის, ბრუნდება ზურგჩანთით). მივდივარ!

ლილი—სად მიხვალ?

ზურიკო—მე შენ ხმას აღარ გცემ... (მიდის).

მესამე სურათი

(ტყე. წყარო. შემოდის ზურიკო).

ზურიკო—მშია... ცუდი ტყე ყოფილა ეს ნაკრძალი. კენკრაც კი არსად ჩანს... მომაგონდა! დედამ ჩანთაში ლილისთვის ნამცხვრები და შოკოლადი ჩააწყო. სულ დამავიწყდა ჩანთის გახსნა. ახლა რა ვქნა? ვჭამო თუ არა? ცოტას მოვაკლებ. (ჩანთას გახსნის. ნამცხვარს ამოიღებს. ჩიტები მიუახლოვდებიან, გამოჩნდებიან მაჩვი და ბელი ზურიკო ჩიტებისკენ მიბრუნებული ჭამს) ეჰ, სად არის ახლა ჩემი თოფი! არა, ამათ მოსაკლავად ვერც მე გავიმეტებდი... რა ტკბილად ჟღურტულებენ!.. ნეტავ, თავიანთ ენაზე რას ამბობენ?.. იქნებ მთხოვენ, ჩვენც გვაჭამეო?.. აჰა, ნახევარი თქვენ ჭამეთ!.. (მაჩვს) შენთვის რომ ლოკოკინები არა მაქვს, რითი გაგიმასპინძლდე?.. (ბელს) შენ კი, ისეთ რამეს გაჭმევ, რომლის გემო გასინჯულიც არ გექნება. მიირთვი შოკოლადი! (აჭმევს) უჰ, ხელიც კინალამ წამაჭამე. (შემოდის ნუკრი) ლამაზო ნუკრო, მოდი, ნუ გეშინია, დალიე წყალი! მე შენ არაფერს გერჩი, მინდა დაგიმეგობრდე... (უალერსებს) წამოდი ჩემთან! იცი, როგორ მოგივლი? სულ ტკბილი ნამცხვრებით გაგიმასპინძლდები. წამოხვალ? ჰო-ო?.. (ნუკრი უცებ დაფრთხება და გარბის. დანარჩენებიც ეფარებიან) ნეტავ რამ დააფრთხო?! ფეხის ხმა ისმის... ვიღაცეები რაღაც საეჭვოდ მოიპარებიან. უნდა მოვეფარო... (ჯაგნარში ძვრება. შემოდის ორი მონადირე).

1-ლი მონადირე—ვიპოვნე კვალი, ახლა კი ნაღდად ავაშიშხინებთ შვლის მწვადებს!..

მე-2 მონადირე—ვიდრე ჩავუსაფრდებოდეთ, წავიხემსოთ.

1-ლი მონადირე—წავიხემსოთ... (თოფებს ჯაგნარს მიაყუდებენ. აბგიდან საჭმელს ამოალაგებენ. ჭამენ). მოკლედ—შვლებს დავხოცავთ, აქვე დავმალავთ და შემდეგ ნაწილ-ნაწილ გავიტანთ...

ზურიკო—აი, თურმე ვინ ყოფილან! ესენი არც ჩემს ნუკრს დაინდობენ. რა ვქნა? როგორ გადავარჩინო? ვიცი, რაც უნდა გავაკეთო (ჯაგნარიდან ხელს გამოყოფს, თოფებს დაითრევს, გაუჩინარდება. მონადირეები ჭამას ამთავრებენ).

1-ლი მონადირე—ბიჭო, იპოლიტე, თოფები არ ჩანს!

მე-2 მონადირე—ხომ არ გაგიქდი?

1-ლი მონადირე—აგერ, ვიღაც ლაწირაკს დაუთრევია და გარბის!..

მე-2 მონადირე—მოვკლათ ეგ მამაძაღლი, ეგა!.. (ტყის ბინადარნი ერთხმად შესძახებენ...) „ბიჭი მოვკლათო?! ვერ ეღირსებით!“ (ხე გადმოწვება. ციყვი ფუღუროდან ჩენჩოებს ქექავს და

ეროვნული ბიბლიოთეკა

მონადირეებს თავზე აყრის. ფოცხვერი წინ გადაუხტებათ, ბოლოს, მგელი გამოდის ბუნაგიდან. მონადირეები ხეზე აასწრებენ).

1-ლი მონადირე—იპოლიტე, იმ დინამიტით, რომელიც თევზების გასაწყვეტად გვაქვს წამოღებული, მგელს გამოვუყვანოთ წირვა, ჩვენც გადავრჩებით და იმ ლაწირაკსაც ავუგებთ წესს.

მე-2 მონადირე—რალას უყურებ, ჩააგდე ბარემ!..

(1-ლი მონადირე გამზადებულ დინამიტს ძირს ჩააგდებს, რომელიც ფეთქდება).

მგელი—ვაიმე, მომკლეს ამ... (კოჭლობით გადის. მონადირეები ხიდან ჩამოდიან).

1-ლი მონადირე—ახლა კი, ჩვენს ხელთაა, ველარსად წაგვივა, მომყევით!

მე-2 მონადირე—თავისი ფეხით ჩვენკენ მოდის, ეტყობა, გზა აებნა.

ზურიკო—(შემოდის) თოფები ხრამში გადავყარე.

1-ლი მონადირე—ახლავე შენც იმ ხრამში გადაგაგდებ! (ხელში აიტაცებს).

ზურიკო—მი-შვე-ლეეთ!.. (შემორბის დედა-დათვი. 1-ლ მონადირეს დაითრევს. გათავისუფლებული ზურიკო უკიჟინებს). ეგრე დათუნიავ, დასცხე მაგ ავაზაკს, მაგას!.. (შემოდის ლილი და მამამისი, რომელიც თოფს ჰაერში გაისვრის. დათვი მონადირეს თავს ანებებს, გარბის).

ლილი—(ზურიკოსკენ გაექანება) ზურიკო, ცოცხალი ხარ?!.

ზურიკო—დათუნიამ გადამარჩინა.

ლილი—ეს იმის დედაა, შენ რომ წელან ბელს შოკოლადით გაუმასპინძლდი.

ზურიკო—შენ საიდან იცი?

ლილი—მეგობრებმა მიამბეს.

ზურიკო—გიამბეს?! რანაირად?! იმათ ხომ ადამიანივით ლაპარაკი არ შეუძლიათ?

ლილი—არ შეუძლიათ, მაგრამ მაინც გაგაგებინებენ, მოსწონხარ თუ არა. ახლა იმათ შენც უყვარხარ. შეხედე, მამამ ორივე ბოროტი მონადირე დააპატიმრა.

ზურიკო—ასე მოუხდებათ!..

ლილი—ახლა ერთიც უნდა გახარო: მამამ შენი თოფი გუბიდან ამოიღო და შინ რომ დავბრუნდებით, გაწმენდილს ჩაგაბარებ.

ზურიკო—აღარ მჭირდება, დღეიდან მეც შენსავით მათი მეგობარი ვიქნები.

ლილი—მოდით, მოგროვდით, მეგობრებო!.. (ყველანი შემოდიან) ხელი-ხელს ჩავკიდოთ და ფერხული გავაჩაღოთ. აბა, დავიწყოთ!..

(უვლიან ფერხულს)

ფ ა რ დ ა



ეროვნული
ბიბლიოთეკა

რინ ტინ ტინ

იყო ერთი ავი კაცი,
ეძახოდნენ რინ ტინ ტინს,
გადაყლაპა ქინძისთავი
სადილობის წინ, წინ, წინ.

გაეშურა ექიმისკენ
და ზარს რეკავს: ძინ, ძინ, ძინ!
ექიმი კი არ დაუხვდა,
არ დაუხვდა შინ, შინ, შინ.

ძირს დაეცა გულწასული.
ვინ დაეცა, ვინ, ვინ, ვინ?
დაეცა და ვეღარ ადგა
უბედური რინ ტინ ტინ.

ნახატები **გესო ხიდაშელისა**

ზღარბი და მელია

შოთა ხოდაშელი

— ზღარბო, ზღარბო, მთელი ზურგი
ზღმარტლით რომ დაგიფარავს,
სად იპოვე მაგდენი?
— ციუვმა ჩამომიყარა.

დიდელ, დო!

— დიდელ, დიდელ, დო!
რძე გიყვარს თუ დო?
— დიდელ, დიდელ, დამფლინგ,
მირჩევნია თაფლი.
— დიდელ, დიდელ, დუ!
ჰოტი ხარ თუ ბუ?
— დიდელ, დიდელ, დუდო!
მაჩვი ხარ თუ მუდო?
— დიდელ, დიდელ, დობინო!
კაპკაპების დობილო!
— დიდელ, დიდელ, დოგრა!
თავი გაქვს თუ გოგრა?
— დიდელ, დიდელ, დიღესა!
ენა ვინ აგიღესა?
— დიდელ, დიდელ, დარაკო!
შენ რა გელაპარაკო?!

ინგლისურიდან თარგმნა **თამარ ერისთავმა**

ბავშვებო!

ქართულ საბავშვო პოეზიაში ბევრი კარგი ლექსია, ორი მათგანი: „მედეას ლეკვი“ და „ოთარ-შოფერი“ დაწერილია პაოლო იაშვილის მიერ.

სილაღითა და მსუბუქი იუმორით იმსახურებენ ეს ლექსები პატარა მკითხველის მოწონებას.

საერთოდ, ფაქიზი გემოვნება და სისადავე წარმოადგენს პ. იაშვილის შემოქმედების უპირველეს ღირსებას.

აი, რა ლამაზადაა დახატული პოეტის ერთ ლექსში ჩვენებური ზამთარი:

არ კაკანებენ კაკბები,
მელაც თვლემს დიდი ხანია,
უკანასკნელი საკვები
სოროში შეუტანია.

ზის და დუმს რუხი კურდღელი,
როგორც უმღურის წესია;
ჯიხვებს კი შავი შურთხები
თივას და ბალახს ესვრიან.

რა დიდი მანძილებია,
რა უნაპირო ველები;
მთაში დათვს დაძინებია
თავის პატარა ბელებით.

ამას წინათ ქართველმა ხალხმა დიდი ზეიმით აღნიშნა პაოლო იაშვილის დაბადების 80 წლისთავი.

ძია პაოლოს ძალიან უყვარდა ბავშვები.

რომ ეცოცხლა,—უფრო ბევრ ლექსს დაგიწერდათ...

მუხრან მაჭავარიანი

ვბეჭდავთ პაოლო იაშვილის ლექსს „მედეას ლეკვი“.

პაოლო იაშვილი

მედეას ლეკვი

თუ გინახავთ
დათვის ნეკი,
იმ სიგრძეა
ჩემი ლეკვი.
ჯერ ოთახში, შემდეგ ბაღში
დადის, დადის
კუდაბზეკით.
ბუზს შეხედა, გაინაბა,
დამიხია ჩითის კაბა,
გულმოსულმა გადაულაპა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მზა მურაბა—
ერთი კილო;
რა ლეკვია,
რა ლეკვია,
ლეკვია თუ ცირკის სპილო!

კედლის მღებავს
შეუშეფავს,
უკბენს კატას, როცა ნებავს,
ახლა
დახრა
სკამის ფეხი,
არ მასვენებს ეს უკმეხი,
დაგაყარე თავზე მეხი.

და სულ ვდარდობ—ამ ავეიამ
იქნებ სჯამა დუთმა ნესვი,
იქნებ მამას დაუხია
გუშინ
დაწერილი
ლექსი.
ანდა კიდევ უკეთესი,
გადაულაპა დიდი ნემსი.

ვერც სკოლაში დავისვენე,
შინ მოველ და
მეცა ელდა,
თურმე ბზიკმა
დამიკბინა
ჩემი ფინა
პაწაწკინა,
ჩვენი ბაღის
იმ კუთხეში,
სადაც ცხოვრობს ლოკოკინა!

ვართ მთელი დღე მგლოვიარე.
ექიმები მოვიარე,
გამოვართვი აფთიაქარს
ეს მალამო თაფლისფერი,
ვუცვლი წამალს,ვაჭმევ შაქარს,
არ აკლია არაფერი...

ოღონდ სიცხე გამონელდეს
და ვუყიდი ცისფერ ლენტებს,
ერთი ყელზე გამოვაბა,
ერთი ფეხზე გამოვაბა,
ერთი ყურზე გამოვაბა,
ერთი კუდზე გამოვაბა,
ქვეშ დავუგო ჩემი კაბა,
გავასურო დიდი ტაფა,
მოვუდუღო ის მურაბა,
მას რომ უნდა... ისევ ჰქონდეს
დასახრავად სკამის ფეხი,
ოღარც ვეტყვი არასოდეს:
„დაგაყარე თავზე მეხი“.

მოხერხებული ფუჭკარი

გურამ კლდიაშვილი

ერთხელ წრიპა თაგუნამ
ჩაუარა სათაგურს,
და რას ხედავს!—ფისუნას
სათაგურში გათანგულს.
შეკრთა წრიპა თაგუნა:
— „მბრძანებელო კატაო,
სათაგურში რა გნებავს,
როგორ დაგემართაო?!“
— „დილით, ჩემო თაგუნავ,
მესმა აყალმაყალი,
ვხედავ, ამ სათაგურში
თაგვი არის საწყალი.
დავუარე სათაგურს
ჯახირით და წვალებით,
გამოვუშვი... თვითონ კი
ჩამეკეტა კარები.—
გხედავ, ჩემო თაგუნავ,
ლამის ღვარო ცრემლები,
სათაგური გამილე,
აგრემც შემოგევლები“...
დაუარა სათაგურს
ჯახირით და წვალებით,
და გაულო თაგუნამ
ჩაკეტილი კარები...

კატამ თათი შემართა
ლიმილით და ალერსით,
ისკუპა და თაგუნა
მოიმწყვდია ბრჭყალებში:
— „შე ხეპრე და რეგვენო,
აბა, როგორ დაგინდობ,
ახლა უნდა შეგსანსლო
იმიტომ და ამიტომ!“
სად იყო და სად არა,
ბზუილით და ფრენითა,
მობზუილდა ფუტკარი,
დათაფლული ენითა.
როცა ფუტკარს უამბეს
ეს ამბავი ნამდვილი—
თქვა:—„სიმართლის დადგენა
სულ არ არის ადვილი.“
კატას უთხრა:—„სათაგურს
მეც ვუყურებ ამჯერად,
მაგრამ შიგ რომ მოთავსდე,
არ მჯერა და არ მჯერა.“—
ბრიყვმა კატამ სიბრაზით
მიანათა თვალები,
სათაგურში შევიდა,—
ჩაეკეტა კარები...

ნახატი მაწანა მორჩილაძისა

უჰუ და ლამპე

ეს ამბავი დიდი ხნის წინათ მოხდა:

პატარა ბაჭია შინისაკენ ტყე-ტყე მიდიოდა. მას თეთრი, ქათქათა ბეწვი ჰქონდა და ამიტომაც ღამპეს ეძახდნენ.

ჰოდა, ბაჭიას გზა აებნა. ირგვლივ ვეებერთეა ხეები იდგა და ბნელოდა. დაღლილი შუა ტყეში ერთი მდინარის პირას ჩამოჯდა. შიშისაგან მთელი ტანი უცახცახებდა.

უცებ ტყეში ყრუ ხმა გაისმა: „უ-ჰუ!" „უ-ჰუ! „უ-ჰუ!"

ბაჭია შეკრთა და მიმოიხედა: ფულუროდან კუპრივით შავი ბუ გამოფრინდა. სანადირო ემზადებოდა.

— უ-ჰუ! უ-ჰუ!— დაიყვირა ბუმ, როცა ქათქათა ბაჭია შენიშნა.

უჰუ!—ასე ერქვა ბუს, რადგან მაშინ „უჰუს" უწოდებდნენ ყველაფერს, რაც შავი და ბნელი იყო.

— მითხარით, გეთაყვა, ღამის არ გეშინია?— უთხრა ბაჭიამ და აცახცახდა.

— უჰუ!—უპასუხა ბუმ,—ხმა ჩაიკმინდე!

— მე მეშინია სიბნელის!—ამოიკვნესა ბაჭიამ.

— მე კი სინათლის!—დაიყვირა ბუმ,—თუ არ ვცდები, სულელი კურდღელი უნდა იყო!

— შენ კი სულელი ბუ!—თქვა ბაჭიამ, მაგრამ მაშინვე შეეშინდა თავისი სითამამისა და ხმა ჩაიწყვიტა.

— უჰუ!—დაიყვირა ბუმ,—შენ გიყვარს სინათლე, მე კი—სიბნელე. მოდი, გავეჯიბროთ; შენ თუ გაიმარჯვებ, დაე, სულ მუდამ ღღე იყოს, მე თუ გავიმარჯვებ, მუდამ—ღამე!

საცოდავ კურდღელს რაღა დარჩენოდა, დათანხმდა.

მხეცებმა და ფრინველებმა ბუსა და ბაჭიას შეჯიბრების ამბავი რომ გაიგეს, ჯგუფ-ჯგუფად მოიყარეს თავი მდინარის პირას.

შეთანხმდნენ: ბაჭიასაც და ბუსაც თავიანთი სახელები უნდა ეძახნათ, თუ რომელიმეს შეეშლებოდა, ან მეორის სახელს დაიძახებდა, წაგებული იქნებოდა.

კოდალამ სამჯერ დააკაკუნა ხეზე ნისკარტით

ეროვნული
ბიბლიოთეკა

და შეჯიბრიც დაიწყო:

„მე მეძახიან ღამპეს,
დღე მირჩევნია ღამეს!“—დაიძახა ბაჭიამ.

ბუმაც არ დააყოვნა:

„რადგან უჰუ მქვია მე,
დღეს მირჩევნია ღამე!“

ტყეში საშინელი ხმაური ატყდა. ტყის მახლობლად მცხოვრებმა სოფლელებმა თავიანთი ქოხების კარებები მაგრად დაკეტეს.

„მე მეძახიან ღამპეს,
დღე მირჩევნია ღამეს!“

ისევ დაიძახა წკრიალა ხმით კურდღელმა და ჩიტებიც ერთხმად შეეხმიანენ.

„რადგან უჰუ მქვია მე,
დღეს მირჩევნია ღამე!“—განაგრძობდა ბუც.

ბუ მაღე დაიღალა და შეცდომით წამოიძახა:
— უჰუ, ღამპე!

ბაჭიამ ეს შენიშნა თუ არა, კიდევ უფრო წკრიალა ხმით შემოსძახა:

„მე მეძახიან ღამპეს,
დღე მირჩევნია ღამეს!“

ბუმ გაბრაზებით უპასუხა:
„ღამპე, ღამპე, ხმა გაკმინდე!“
თეთრმა ბაჭიამ გაიმარჯვა.

დამარცხებული ბუ დაღონებული შეეასლასდა ფულუროში და მრგვალი თვალებიდან ლაპალუპით გადმოსცვივდა ცრემლები.

— დღე ხომ უფრო ღამაზია ღამეზე?!—შეეცადა ბაჭია ბუს დამშვიდებას.

— უ-ჰუ!—მოთქვამდა ბუ,—დღისით მე არ შემიძლია ნადირობა, მე მხოლოდ ღამე ვხედავ! დღისით ვისვენებ, ღამე კი დავფრინავ!

ბაჭიას ძალიან შეეცოდა ბუ:

— მაშ კარგი,—ნება შენია,—დღეც იყოს და ღამეც! შენ დღისით დაისვენებ! მე კი—ღამით!

და ასეც არის. დღეს მოჰყვება ღამე, ღამეს—დღე.

ორთავე—თეთრი ბაჭია—ღამპე და კუპრივით შავი—უჰუ ძალიან კმაყოფილნი არიან.

თქვენთვისაც, ბავშვებო, დღე სამუშაოდ და სათამაშოდ არის გაჩენილი, ღამე კი—დასასვენებლად.

თარგმანი გერმანულიდან **თამილა ჩხეიძისა**

ნახატები **გესო ხიდაშელისა**

ირმებს უნდა ვუშველო

ევგენი გართაია

შემოდგომა მიიწურა,
დადგა ცივი ზამთარი;
თოვლი მოდის,
თოვლი მოდის—
თხიერამურიც მზად არი.

მთაში უნდა წავიდე,
ირმებს უნდა ვუშველო.
ტყე რად ვარგა,
მთა რად ვარგა
უირმოდ და უშველოდ!

ნახატი ვახტანგ გულისაშვილისა

ნიანგმაც იცის მეგობრობა

არჩილ ჯანაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

აფრიკის მრავალ მდინარეში ცხოვრობს ნიანგი, რომლის სიგრძე აღწევს 10 მეტრამდე, ხოლო წონა—100 კილოგრამამდე. თუმცა ამჟამად ასეთი დიდი ნიანგები იშვიათობას წარმოადგენენ.

ნიანგი მდინარის პირას ქვიშაში დებს ასამდე კვერცხს. თვითონ იქვე წვება და უარაულობს. თუ რომელიმე ცხოველი კვერცხებს მიუახლოვდა, ვაი მას,—ნიანგის წერა გახდება. ახლად გამოჩეკილი ნიანგები ყოველთვის ფაცხაფუცხით გარბიან წყლისაკენ და იმალებიან, რადგან დედის შიში აქვთ: ნიანგები საკუთარ შვილებსაც სიამოვნებით შეექცევიან.

იმ ადგილებში, სადაც ნიანგი ცხოვრობს, მოსახლეობას დიდი ზარალი მოსდის. იგი თავს ესხმის ცხენს, ძროხას, აქლემს, თხას, ცხვარს, ნაირგვარ ფრინველებს, ზოგჯერ პატარა ბავშვებს. ამიტომაცაა, რომ ნიანგებს ყველგან სპობენ.

ნიანგებთან ახლოს ბინადრობს პატარა ფრინველი, რომელსაც ეგვიპტური რბენია ჰქვია. ეს ფრინველი ხან ზურგზე აჯდება ნიანგს, ხან—თავზე და ხან—კუდზე. ნიანგი ნელ-ნელა აღებს პირს. რბენია კენკავს მის ენას, ღრძილებს, უძვრება ხახაში, ბოლოს გარეთ გამოდის.

რატომ უძვრება რბენია ნიანგს ხახაში? ნიანგს ღრძილებზე, ენაზე, ზოგჯერ ხახაზეც ეკრობიან წურბელები, სწორედ ამ წურბელებს კენკავს ეგვიპტური რბენია და ათავისუფლებს ნიანგს პარაზიტებისაგან. ამიტომაცაა, რომ ნიანგი თავის მეგობარს არასოდეს არ ერჩის.

ნახატი ვაჟა დათეგაშვილისა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამოცანა

საახალწლოდ კანფეტები
დაურიგა გელამ:
ნიკას, ლიკას, გიზოს, ცისოს,
ანას, ნანას, ლელას.
თითოს ხუთი აღმოაჩნდა,
დაითვალეს ხელად.
გამოიცან, აბა, ერთად,
რამდენია ყველა?!

შოთა ამირანაშვილი

გიგა

იმერი ხარაძე

ყური უგდეთ, რატომ ტირის
გიგა—ერთი ციდა:
— განა თოვლი მენატრება?—
გუნდაობა მინდა!..

საჩუქარი

ალექსი ხუციშვილი

— ვის რა საჩუქარი
მოუტანე, ნატა?
— მტვერსასრუტი—ბებოს,
სათაგური—კატას!

13035

თავსატეხი



შეავსეთ ცარიელი უჯრედები თევზების სახელებით.

შეადგინა ახალციხის რაიონის სოფ. მინაძის სკოლის მოსწავლემ **დარიკო გოგოლაძემ.**

რებუსი



6 64/8

ეროვნული ბიბლიოთეკა

მონადირე

მირონ სურგულაძე

ნახატი: მზია უგულავა

თოფით ხელში სანადიროდ
გამოვიდა კახა,
მაგიდის ქვეშ დამალული
დათუჩელა ნახა.

თოფი ფეხზე შეაყენა,
ბიჭებს დაუძახა:
— მაგიდისქვეშ დამალულა
მშიშარა და გლახა!—

დაუმიზნა, გაისროლა:
— ბახა!.. ბახა!.. ბახა!
თოფის ხმაზე გამოიქცნენ
დიტო, გელა, ბახვა.

ყველას უნდა სხვას დაასწროს
მკვდარი დათვის ნახვა.
თოფით ხელში არხეინად
მიდი-მოდის კახა.

მთავარი რედაქტორი მუხრან მაჭავარიანი

სარედაქციო კოლეგია: ანზორ აბულაშვილი, ედუარდ ამბოკაძე, კუკური გოგიაშვილი, ლეილა ერაძე, მაყვალა მრევლიშვილი, ჯიმშერ მუჯირი, გიორგი როინიშვილი (სამხ. რედაქტორი), იორამ ქემერტელიძე (პ/მგ. მდივანი) რობერტ ღარიბაშვილი, გივი ძნელაძე

ხაკ. კპ ცკ-ის გამომცემლობა

Издательство ЦК КП Грузии

საქ. ალკკ ცკ-ისა და ვ. ი. ლენინის სახელობის პიონერთა ორგანიზაციის რესპუბლიკური საბჭოს ჟურნალი. ყდაზე ნახატი მანანა ჯავახიშვილისა

გამოცემის 49-ე წელი.

ტექრედაქტორი ენდი ფერეთელი

მისამართი: რედაქციის, გამომცემლობის, სტამბის—თბილისი, ლენინის, 14. ტელ.: მთ. რედაქტორის—93-41-30, 93-98-15; პ/მგ მდივნის — 93-10-32, 93-98-17; სამხ. რედაქტორის —93-98-18; განყოფ. — 93-98-19; სამდივნოსი — 93-98-16.

გადაეცა ასაწყობად 6/X-75 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 18/XII-75 წ., ქაღალდის ზომა 60×90 1/8 ფიზ. ნაბ. ფურც. 2,5, ტირაჟი 159.700 შეკვ. № 3661. „Дила" № 1. на грузинском языке. ფასი 20 კაპ